თამარ ტალახაძე, მაია ციმაკურიძე, ეკატერინე მირველაშვილი,
მარინა ციმაკურიძე, უშბა გაზდელიანი

მოსახლეობის ინფორმირებულობის შეფასება სიმსივნეთა ადრეული გამოვლენის პრევენციული ღონისძიებების შესახებ

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

Doi: https://doi.org/10.52340/jecm.2025.05.10

TAMAR TALAKHADZE, MAIA TSIMAKURIDZE, EKATERINE MIRVELASHVILI,
MARINA TSIMAKURIDZE, USHBA GAZDELIANI

ASSESSMENT OF THE EFFECTIVENESS OF PREVENTIVE MEASURES FOR EARLY DETECTION OF CANCER

Tbilisi State Medical University, Tbilisi, Georgia

SUMMARY

Study is determined by the fact that the statistics of deaths caused by cancer are quite high in the world. Reducing cancer incidence and mortality requires ensuring financial and geographic access to preventive measures, providing comprehensive and timely information about screening programs to the masses and high-risk populations. Studying the effectiveness of cancer preventive measures is important to the extent that early detection of tumours helps save the patient's life.

According to the main results of the research, the respondents' awareness of preventive measures for early detection of tumours is high. 92,1% of the interviewed persons have heard about these events. 95,5% of respondents heard about screening programs, and 73,2% even took part in them. According to 58,4%, the financial and geographical accessibility of screening programs is only partially protected. 62,3% consider it necessary to open regional screening centres and improve the quality of screening services to improve the effectiveness of preventive measures.

Keywords: Assessment, effectiveness, preventive measures, early detection, cancer

გლობალურად სიმსივნური პათოლოგია სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება [5,7], ამიტომ სიმსივნურ დაავადებათა ადრეული გამოვლენის პრევენციული ღონისძიებების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

მსოფლიოში ყოველწლიურად აღინიშნება კიბოს განვითარების 20 000 000 შემთხვევა [10]. სიმსივნური დაავადებების მაღალი სტატისტიკა და მასთან ბრძოლა თანაბრად მწვავე საკითხია განვითარებული სახელმწიფოებისთვისაც. საქართველოში კიბოთი დაავადების სიხშირეა 468,6 შემთხვევა 100 000 ადამიანზე, ხოლო კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობა - 153,4 [8]. კიბოთი დაავადების მაჩვენებელი საქართველოში მაღალი იყო წინა წლებშიც. 2015-2019 წლებში საქართველოში კიბოს ახალ შემთხვევათა რაოდენობა იყო 10 000-დან 11 000-მდე. მხოლოდ 2019 წელს რეგისტრირებული იყო 10 339 ახალი შემთხვევა - 277,9 შემთხვევა 100 000 მოსახლეზე [9]. 2020 წელს საქართველოში გამოვლინდა კიბოს 9435 შემთხვევა. 100 000 მოსახლეზე კიბოს გამოვლინების სიხშირე იყო 253,5. სიმსივნური დაავადებების მხოლოდ ნახევარი (50%) იქნა გამოკვლეული ადრეულ (პირველ და მეორე) სტადიაზე [2,3,4]. მნიშვნელოვანია დაავადების პრევენცია, კიბოს ადრეული დიაგნოსტირება, რომელიც განიხილება გადარჩენის მაღალი ალბათობის უზრუნველყოფის, მკურნალობის ხარჯებისა და ავადობის შემთხვევათა შემცირების, შესაბამისად, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების საშუალებად. სკრინინგ პროგრამებით ვერ ხერხდება კიბოთი დაავადების შემთხვევათა ეფექტიანი მეორადი პრევენცია. კიბოს ადრეული დიაგნოსტირებისათვის საჭიროა, რომ ფართო მასები იყვნენ სათანადოდ ინფორმირებული სიმსივნის ადრეული ნიშნების შესახებ და მეორე მხრივ, ჯანდაცვის სისტემა ფუნქციობდეს

გამართულად [6]. შესაბამისად, აქტუალურია მოსახლეობის ინფორმირებულობა დაავადების პრევენციული სერვისების შესახებ.

სიმსივნურ დაავადებათა პირველადი პრევენციის ფარგლებში მნიშვნელოვანია როგორც ინდივიდუალური, ისე გარემოს რისკის ფაქტორების მართვა, როგორიცაა ასაკი, გენეტიკა, ხანგრძლივი ჩანაცვლებითი ჰორმონოთერაპია, კონტრაცეპტივების ხანგრძლივი გამოყენება, სტრესი, მზის სხივების ხანგრძლივი ზემოქმედება, სამუშაო და საცხოვრებელ გარემოში რადიაციული ზემოქმედება, კვების თავისებურება და სხვ. სიმსივნურ დაავადებათა პირველადი პრევენცია მოიცავს პრევენციულ პროგრამებს, რომელიც მიმართულია ცხოვრების ჯანსაღი წესისა და უსაფრთხო სივრცის ჩამოყალიბებისაკენ [1]. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, სიმსივნურ დაავადებათა რისკის ფაქტორების პრევენციითა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრევენციის სტრატეგიებით მიიღწევა კიბოთი დაავადების შემთხვევათა 30-50 %-ით შემცირება [10].

კვლევის მიზანს წარმოადგენდა სიმსივნეთა ადრეული გამოვლენის პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმირებულობის შეფასება. კვლევის ინსტრუმენტად შერჩეულ იქნა ონლაინ კითხვარი, რომლის ფარგლებშიც ჩატარდება გამოკითხვა, რამაც მოგვცა სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების საშუალება სისტემატურობის, ობიექტურობისა და სარწმუნოობის კრიტერიუმების დაცვით. გამოკითხვის ჩასატარებლად გამოყენებულ იქნა Google Forms პროგრამა. გათვალისწინებული იყო კვლევის ეთიკური მოთხოვნები. რესპონდენტებისთვის წინასწარ იყო ცნობილი კვლევის მიზნების და კონფიდენციალობის შესახებ. კითხვარში შედიოდა 20 დახურული ხასიათის კითხვა. ონლაინ გამოკითხვის ფარგლებში განხორციელდა სტრატიფიცირებული შერჩევა. გამოკითხვა ორიენტირებული იყო სიმსივნეთა ადრეული გამოვლენის პროფილაქტიკურ ღონისძიებებზე რესპონდენტთა ინფორმირებულობის დონის, მათი კმაყოფილების ხარისხისა და დამოკიდებულების გამოსავლენად.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 20-დან 70 წლამდე და ზევით ასაკის 150 რესპონდენტმა. კვლევა ჩატარდა 10.05.2023-15.06.2023. მიღებული მონაცემები დამუშავდა სტატისტიკური ანალიზის მეთოდებით. რესპონდენტთა 83,3% იყო ქალი, 16,7% - კაცი. გამოკითხულ პირთა 4/5-ზე მეტს ჰქონდა უმაღლესი განათლება (80,7%). 3/4 (74,6%) დასაქმებული იყო, 7,9%-თვითდასაქმებული. კვლევამ აჩვენა, რომ სიმსივნეთა ადრეული გამოვლენის პროფილაქტიკური ღონისძიებების არსებობის შესახებ რესპონდენტთა 92,1% ინფორმირებული იყო; ხოლო 7,9% - არ იყო ინფორმირებული. 21,1%-სთვის ცნობილი იყო კიბოს ადრეული დიაგნოსტიკის სერვისების შესახებ, ხოლო 72.8%-სთვის პროფილაქტიკის ორივე სერვისის შესახებ (დიაგრამა 1).

დიაგრამა 1. რესპოდენტთა პასუხების მონაცემები კითხვაზე „რომელი პროფილაქტიკური ღონისძიების შესახებ გსმენიათ?“



სკრინინგული პროგრამები პრევენციის მნიშვნელოვანი საშუალებაა და ცნობილი იყო რესპონდენტების 95,6%-სათვის. ძალიან მცირე (4,4%) აღმოჩნდა იმ მონაწილეთა რიცხვი,

რომელთაც არ გაუგიათ სკრინინგის პროგრამების არსებობის შესახებ. რესპონდენტების უმეტესობას სმენია საქართველოში მოქმედი ყველა სკრინინგის პროგრამის შესახებ (68,4%), 14,9%-ს გაუგია მხოლოდ ძუძუს კიბოს სკრინინგზე, 8,8%-ს - საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგზე. 2,6%-მა განაცხადა, რომ არ გაუგია არცერთი სკრინინგული პროგრამის შესახებ (დიაგრამა 2).

დიაგრამა 2. რესპონდენტთა პასუხების განაწილება კითხვაზე „სკრინინგის რომელი პროგრამის შესახებ გსმენიათ?“

რესპონდენტების 73.2%-ს არ ჰქონდა სკრინინგის პროგრამაში მონაწილეობის გამოცდილება. რესპონდენტების 28,9% სკრინინგის პროგრამებზე ინფორმაციას იღებდა სოციალური ქსელებიდან. კვლევის მონაწილეთა 21,9%-მა დაასახელა ინტერნეტი. მხოლოდ 16,7%-მა აღნიშნა, რომ სკრინინგის პროგრამების შესახებ ინფორმაციას იღებდა ოჯახის ექიმისგან; 13,2% - ტელევიზიიდან. უმნიშვნელო იყო იმ მონაწილეთა რიცხვი, რომლებმაც სკრინინგის პროგრამების შესახებ ინფორმაცია მიიღო მეგობრის/ნაცნობის, ან პრესისგან (დიაგრამა 3).

დიაგრამა 3. რესპონდენტთა პასუხების განაწილება კითხვაზე „სკრინინგული პროგრამების შესახებ ინფორმაციას რომელი წყაროდან იღებთ?“



კვლევაში მონაწილეთა დიდი ნაწილი (88,5%) თვლიდა, რომ სამედიცინო დაწესებულებებისთვის სავალდებულო, ხოლო 8% - სასურველი უნდა იყოს ამ ტიპის ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობისთვის. თითქმის თანაბარი აღმოჩნდა იმ რესპონდენტების პასუხების პროცენტული განაწილება, ვისაც მიუღია ინფორმაცია ჯანდაცვის პირველი რგოლისგან სკრინინგის პროგრამების შესახებ საჭირო დროს, ან პირიქით, არ მიუღია. 48,6%-მა განაცხადა, რომ „დიახ, მიმიღია“, ხოლო 51,4%-მა - „არა, არ მიმიღია“. საინტერესო იყო რესპონდენტების აზრი იმის შესახებ, არის თუ არა საქართველოში სკრინინგის პროგრამების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი. მხოლოდ 17,7% ფიქრობდა, რომ „დიახ, უზრუნველყოფილია“, ხოლო 58,4% აცხადებდა, რომ „ნაწილობრივ“. 10,6%-ის პასუხი იყო „არა“; რაც გვაფიქრებინებს, რომ რესპონდენტების დიდი ნაწილი უარყოფითად აფასებს სკრინინგის პროგრამების ხელმისაწვდომობის დონეს.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ რესპონდენტთა 92.1%-თვის ცნობილი იყო სიმსივნეთა პრევენციის ღონისძიებების შესახებ; ამასთან, 68.1% აცნობიერებდა ასეთ პროგრამებში მონაწილეობის აუცილებლობას; გამოკითხულთა 84.1% დადებითად აფასებდა სკრინინგის პროგრამებს და მიიჩნევდა მათ განხორციელებას აუცილებლად და ეფექტურად სიმსივნის პრევენციულ ღონისძიებებში (მხოლოდ 0.9% ვერ ხედავდა ამის საჭიროებას); სიმსივნის პრევენციის შესახებ და სკრინინგის პროგრამების შესახებ რესპონდენტთა უმრავლესობა ღებულობდა სოციალური ქსელებიდან და მხოლოდ 16.7% - ოჯახის ექიმისგან; 88.5% მიუთითებდა სამედიცინო დაწესებულებების როლის მნიშვნელობაზე სიმსივნური პათოლოგიის პრევენციის საკითხებში; სკრინინგის პროგრამების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას რესპონდენტთა 62.3% მიიჩნევდა რეგიონული ცენტრების გახსნისა და სკრინინგის სერვისების ხარისხის გაუმჯობესების გზით.

კვლევამ აჩვენა, რომ საჭირო გააქტიურდეს ფართო მასებსა და მაღალი რისკის ჯგუფებში სკრინინგული პროგრამების შესახებ საგანმანათლებლო კამპანიები; გაიზარდოს ჯანდაცვის პირველადი რგოლის ექიმების და ყოფილი პაციენტების ჩართულობა საგანმანათლებლო კამპანიებში და სოფლის მცხოვრებლებში სკრინინგის სახელმწიფო პროგრამის პოპულარიზაციაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, კიბოს კონტროლის ეროვნული სტრატეგია, თბილისი, საქართველო, 2014
2. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, არაგადამდებ დაავადებათა ტვირთი გლობალურ და ეროვნულ დონეზე, 2015
3. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, ონკოლოგიური დაავადებები 2020, 2020
4. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, კიბოს კონტროლის ეროვნული სტრატეგია, თბილისი, საქართველო, 2017
5. American Cancer Society, Cancer Prevention & Early Detection Facts &Figures 2019-2020, 2020
6. Anttila Ahti, Bingham Clarissa, Lipponen Satu, Insight and effectiveness of early diagnosis, 11.11.2019
7. National Cancer Institute, October 11, 2021
8. National Cancer Institute, State Cancer Profiles, Quick Profiles: Georgia, 07/04/2023
9. National Center for Disease Control and Public Health, Cancer in Georgia 2015-2019, 2019
10. World Health Organization, Cancer, 3 February 2022

თამარ ტალახაძე, მაია ციმაკურიძე, ეკატერინე მირველაშვილი,
მარინა ციმაკურიძე, უშბა გაზდელიანი

მოსახლეობის ინფორმირებულობის შეფასება სიმსივნეთა ადრეული გამოვლენის პრევენციული ღონისძიებების შესახებ

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

რეზიუმე

მსოფლიოში კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობის სტატისტიკა საკმაოდ მაღალია. კიბოთი გამოწვეული შემთხვევებისა და სიკვდილიანობის შემცირება მოითხოვს პრევენციულ ზომებზე ფინანსური და გეოგრაფიული წვდომის უზრუნველყოფას, მასებისა და მაღალი რისკის მქონე პოპულაციებისთვის სკრინინგის პროგრამების შესახებ ყოვლისმომცველი და დროული ინფორმაციის მიწოდებას. კიბოს პრევენციული ღონისძიებების ეფექტურობის შესწავლა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სიმსივნეების ადრეული გამოვლენა ხელს უწყობს პაციენტის სიცოცხლის გადარჩენას.

კვლევის ძირითადი შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა ინფორმირებულობა სიმსივნეების ადრეული გამოვლენის პრევენციული ღონისძიებების შესახებ მაღალია.

გამოკითხულთა 92,1%-ს სმენია ამ ღონისძიებების შესახებ. გამოკითხულთა 95,5%-ს სმენია სკრინინგის პროგრამების შესახებ და 73,2%-მა მონაწილეობაც კი მიიღო მათში. 58,4%-ის აზრით, სკრინინგის პროგრამების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა მხოლოდ ნაწილობრივ არის დაცული. 62,3% მიიჩნევს, რომ აუცილებელია რეგიონული სკრინინგის ცენტრების გახსნა და სკრინინგის სერვისების ხარისხის გაუმჯობესება პრევენციული ღონისძიებების ეფექტურობის გასაუმჯობესებლად.